

## თარიღი

## ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

### ოვერდრაფტის საპროცენტო განაკვეთები

- ოვერდრაფტით სარგებლობის წლიური საპროცენტო განაკვეთი \_\_\_\_\_%.
- ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის ბანკომატში/ბანკში განაღდებისას], \_\_\_\_\_%.
- ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის სავაჭრო ობიექტებში გახარჯვისას]: \_\_\_\_\_%.

### ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური მინიმალური გადასახადი: ბილინგის დღისათვის გახარჯული ოვერდრაფტის \_\_\_\_\_ პროცენტი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო [მისი არსებობის შემთხვევაში].
- განაღდების საკომისიო [ბანკში ან ბანკომატში]: \_\_\_\_\_.
- შენატანები განისაზღვრება გახარჯული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.

### დამატებითი სახელშეკრულებო ინფორმაცია და სხვა მოსალოდნელი ხარჯი

- დაშვებული ოვერდრაფტის ოდენობა და ვალუტა: \_\_\_\_\_ ლარი.
- ოვერდრაფტის გაცემის [დაშვების] თარიღი: \_\_\_\_\_.
- ოვერდრაფტით სარგებლობის ვადის დამთავრების თარიღი: \_\_\_\_\_.
- გადახდის თარიღი - ბილინგის დღიდან 27-ე დღე.
- ბილინგის დღე - ყოველი კალენდარული თვის \_\_\_\_\_ რიცხვი.
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო - 0%.
- პირგასამტეხლო - დავალიანების თანხის \_\_\_\_\_%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, თუ ოვერდრაფტით სარგებლობის დროს დაშვებულ და გახარჯულ ოვერდრაფტებს შორის წარმოიშვა სხვაობა, აღნიშნულ სხვაობას, წარმოშობიდან ყოველ დღეზე დაერიცხება პირგასამტეხლო \_\_\_\_\_%-ის ოდენობით. ამასთან, ყოველდღიურად დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გახარჯული ოვერდრაფტის 0.27%-ს, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო.
- ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო სარგებლის ოდენობა ან/და ბარათით მომსახურების ტარიფების განაკვეთები ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები ან/და ცალმხრივად შეამციროს ოვერდრაფტის ლიმიტის ოდენობა. ბანკი ცვლილებების შესახებ შეტყობინებას კლიენტს უგზავნის წერილობით, ან ელ. ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახით, ცვლილებების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე.

ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები კლიენტმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად ან წერილობით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: [info@vtb.ge](mailto:info@vtb.ge)

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს  
ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა [www.nbg.ge/cp](http://www.nbg.ge/cp) და ცხელ ხაზზე +995 (32) 2406 406

## ხელშეკრულება ოვერდრაფტით სარგებლობის შესახებ

### ქ. თბილისი თარიღი

ერთის მხრივ სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია” ვაკის ფილიალი, ჭავჭავაძის 2 (შემდგომ “ბანკი”), წარმოდგენილი \_\_\_\_\_ სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე და მეორეს მხრივ \_\_\_\_\_ (პირადი ნომერი: \_\_\_\_\_) (შემდგომ “კლიენტი”), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს „ოვერდრაფტით სარგებლობის ძირითადი პირობები“, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე [vtb.ge](http://vtb.ge), განყოფილებაში - „ხელშეკრულებები“. აღნიშნული პირობები განსაზღვრავს ტერმინებს, ოვერდრაფტის დაფარვის და მხარეთა შორის კომუნიკაციის წესს დაშესასრულებლად სავალდებულო სხვა უფლება - მოვალეობებს. ხოლო ბარათით მომსახურების ტარიფები განთავსებულია <http://ge.vtb.ge/personal/loans/fast/212783/>

### 1. ძირითადი დებულებები

1.1. ოვერდრაფტის საპროცენტო განაკვეთები:

1.1.1. ოვერდრაფტით სარგებლობის წლიური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_\_%.

1.1.2. ოვერდრაფტით სარგებლობის ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის ბანკომატში ან/და ბანკში განაღდებისას]: \_\_\_\_\_%.

1.1.3. ოვერდრაფტით სარგებლობის ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის სავაჭრო ობიექტებში გახარჯვისას]: \_\_\_\_\_%.

1.2. ფინანსური ხარჯები:

1.2.1. მინიმალური გადასახადი: ოვერდრაფტით სარგებლობისას კლიენტის მიერ გადახდის თარიღამდე ყოველთვიური გადასახდელი თანხის ოდენობა, რომელიც შეადგენს დაშვებულ ოვერდრაფტის ფარგლებში ბილინგის დღისათვის გახარჯული ოვერდრაფტის \_\_\_\_\_ პროცენტს, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს და პირგასამტეხლოს [მათი არსებობის შემთხვევაში]. ამასთან, თუ გახარჯული ოვერდრაფტი აღემატება დაშვებულ ოვერდრაფტს, მინიმალური გადასახდელი სრულად მოიცავს მათ შორის სხვაობას.

1.2.2. განაღდების საკომისიო [ბანკში ან ბანკომატში]: თანხის \_\_\_\_\_ ლარი.

1.2.3. შენატანები განისაზღვრება გახარჯული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.

1.3. დაშვებული ოვერდრაფტის ოდენობა: \_\_\_\_\_ (თანხა სიტყვიერად) ლარი.

1.4. ოვერდრაფტის გაცემის [დაშვების] თარიღი: \_\_\_\_\_

1.5. ოვერდრაფტით სარგებლობის ვადის დამთავრების თარიღი: \_\_\_\_\_

1.6. გადახდის თარიღი - ბილინგის დღიდან 27-ე დღე.

1.7. ბილინგის დღე - ყოველი კალენდარული თვის \_\_\_\_\_ რიცხვი.

1.8. წინსწრებით დაფარვის საკომისიო - 0 %.

1.9. პირგასამტეხლო - დავალიანების თანხის \_\_\_\_\_%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, თუ ოვერდრაფტით სარგებლობის დროს დაშვებულ და გახარჯულ ოვერდრაფტებს შორის წარმოიშვა სხვაობა, აღნიშნულ სხვაობას, წარმოშობიდან ყოველ დღეზე დაერიცხება პირგასამტეხლო \_\_\_\_\_%-ის ოდენობით. ამასთან, ყოველდღიურად დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გახარჯული ოვერდრაფტის 0.27%-ს, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო.

1.10. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო სარგებლის ოდენობა ან/და ბარათით მომსახურების ტარიფების განაკვეთები ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები ან/და ცალმხრივად შეამციროს ოვერდრაფტის ლიმიტის ოდენობა. ბანკი ცვლილებების შესახებ შეტყობინებას კლიენტს უგზავნის წერილობით, ან ელ. ფოსტით ან მოკლე ტექსტური

შეტყობინებით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახით, ცვლილებების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე.

- 1.11. გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში განხორციელებულად ჩაითვლება, თუ შესაბამისი თანხები კლიენტის მიერ გადახდილი იქნება გადახდის დღის 22:00 საათამდე (თბილისის დროით).
- 1.12. თუ კლიენტი შემოიტანს/ჩარიცხავს თანხას საბარათე ანგარიშზე და იმ მომენტისათვის მას გააჩნია დავალიანება [დარიცხული საპროცენტო სარგებელი ან/და პირგასამტეხლო], ბანკი უფლებამოსილია, რომ შემოტანილი/ჩარიცხული თანხები მიმართოს დავალიანების დასაფარად, მიუხედავად იმისა, მოსულია თუ არა გადახდის თარიღი.
- 1.13. ოვერდრაფტი საბარათე ანგარიშზე დაიშვება მთლიანად და ერთჯერადად.
- 1.14. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები კლიენტმა შეიძლება წარადგინოს პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფში, თავსართში მითითებული გზით. პრეტენზიაზე პასუხი გაცემული იქნება პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. პრეტენზიების განხილვის პროცედურა შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: [www.vtb.ge](http://www.vtb.ge)

## 2. განსაკუთრებული პირობები

- 2.1. ბარათის დაკარგვის/დაზიანების/ვადის გასვლის/კლიენტის სურვილის შემთხვევაში, ბარათის განახლება მოხდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. ბარათის განუახლებლობა არ აჩერებს პროცენტის/პირგასამტეხლოს დარიცხვას და არსებული დავალიანების დაფარვა გრძელდება წინამდებარე პირობების შესაბამისად.
- 2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ[ებ]ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კლიენტთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს.
- 2.3. ბანკი უფლებამოსილია გადასცეს კლიენტთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს, ბანკის მიერ კლიენტის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.
- 2.4. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.
- 2.5. კლიენტი თანხმობას აცხადებს, რომ ბანკმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით [1] კლიენტის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და [2] საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.
- 2.6. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს მის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის სასესხო/გარესაბალანსო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს კლიენტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ამ უკანასკნელის გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.
- 2.7. ბარათთან დაკავშირებით მხარეთა სხვა უფლებები და მოვალეობები ასევე რეგულირდება საბანკო ბარათით მომსახურების ძირითადი პირობებით, აღნიშნულ და წინამდებარე ხელშეკრულებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე პირობებს.

- 2.8. თუ კლიენტის მიერ სრულად და ჯეროვნად სრულდება ოვერდრაფტით სარგებლობის პირობები, ოვერდრაფტით სარგებლობის ვადა კვლავ გრძელდება ერთი წლით. ეს წესი მოქმედებს ყოველი ერთწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ. ამასთან, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს და შემთხვევაში უარი თქვას ოვერდრაფტით სარგებლობის ვადის გაგრძელებაზე. ბანკის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვადის გასვლის შემდგომ დღეს კლიენტი ვეღარ შეძლებს ისარგებლოს დაშვებული ოვერდრაფტით და ვალდებული იქნება 1 დღის ვადაში სრულად დაფაროს ვადის ბოლო დღისათვის გახარჯული ლიმიტი, მასზე დარიცხულ პროცენტთან და პირგასამტეხლოსთან [ასეთის არსებობის შემთხვევაში] ერთად. აღნიშნულ შემთხვევაში ვადაგადაცილებად ჩაითვლება ვადის გასვლის თარიღიდან 48 საათში კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა და გახარჯულ ლიმიტზე გაგრძელება პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.
- 2.9. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ კლიენტი ვადის გასვლის შემდგომ დღეს ვეღარ შეძლებს ისარგებლოს დაშვებული ოვერდრაფტით, ნიშნავს რომ ბანკმა უარი თქვა ოვერდრაფტით სარგებლობის ვადის გაგრძელებაზე. აღნიშნულის შესახებ კლიენტს ასევე ეცნობება სარგებლობის ვადის დასრულებიდან 5 დღის განმავლობაში 1.10. პუნქტით განსაზღვრული წესით.
- 2.10. ბანკს ენიჭება უფლებამოსილება კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერ[ებ]ზე, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, გააგზავნოს ბანკის სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები ყოველგვარი შინაარსობრივი შეზღუდვის გარეშე. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილი იქნას როგორც ბანკის, ისე ბანკის მიერ შერჩეული მომსახურე კომპანიის მიერ.

### 3. დასკვნითი დებულებები

- 3.1. კლიენტს ეკისრება ვალდებულება, რომ მინიმალური გადასახადის შესახებ ინფორმაციას გაეცნოს ინტერნეტ ბანკში, მისთვის გადაცემული მომხმარებლის სახელის და პაროლის გამოყენებით.
- 3.2. ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებები კლიენტის მიერ ჩაითვლება მიღებულად თუ ტელეფონის ნომერი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან, ან თუ ტელეფონის ასეთი ნომრით აღარ სარგებლობს კლიენტი და ახალი ნომრის შესახებ მას ბანკისათვის წერილობით არ უცნობებია.
- 3.3. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N 205 267 389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.
- 3.4. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].

### 4. მხარეთა ხელმოწერები

ბანკი	კლიენტი
-------	---------

სს "ვითობი ბანკი ჯორჯია"  
ს/ნ 202906427  
სათაო ოფისი  
სახელი, გვარი  
info@vtb.ge  
ტელ: (995 32) 2242424

სახელი, გვარი  
პ/ნ: \_\_\_\_\_  
მის: \_\_\_\_\_  
ტელ: \_\_\_\_\_

DRAFT